ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის

# ბიულეტენი

**RED ARMY GO HOME!**

№6 ნოემბერი



13 ოქტომბერს, საავტომობილო კატასტროფაში ტრაგიკულად დაიღუპა გამოჩენილი სამართალდამცველი, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი, ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის, წმ.ილია მართლის საზოგადოებისა და საქართველოს ჰელსინკის კავშირის წევრი

## მერაბ კოსტავა

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია სამძიმარს უცხადებს სრულიად საქართველოს-მისი ეროვნული გმირის გარდაცვალების გამო.

მშვიდობით მერაბ

მშვიდობით!-ახლა განშორების დამდგარა ჟამი
შვილები შენნი, გისველებენ დაფლეთილ ჩოხას,
ვაზით დაწნულ ჯვარს ავედრებენ შენს სულს წამებულს
იცრემლებიან და ძირს ხრიან მშობლიურ დროშას.
ღლენმა სატანჯოდ განწირულმა გზა დაგილოცა,
ო, მცირეოდე დაგრჩენია ღმერთთან მანძილი,
ბორკილ დამსხვრეულს გელოდება წმინდა სავანე.
იძინებ ღვთიურ ქვეყანაში ღვთისგან გაზრდილი.
მზილისის ცაზე დაწოლილა შავი ღრუბელი,
მგლოვიარე გულს დასძერკვია ახლად ფესვები,
ეს საქართველოს ცრემლებია! ისმინე **მერაბ**!
როგორ ღმუიან სიმწრისაგან ალგეთს ლეკვები,
არარაობამ ვერ დასძლია ფრთებგაშლილ მერანს
ბებერ ქვის ლოდზე იკვეთება შენი ფრესკები.

ნუგზარ სულაშვილი(სედპ)

# ბოიკოტი საბჭოთა არმიას

## მიმართვა ქართველი ახალგაზრდებისადმი!

ოკუპანტთა ჯარებში სამსახური პიროვნების უდიდესი დამცირებასა და მისი ეროვნული ღირსების შელახვას წარმოადგენს ქართველი ადამიანისათვის ყოვლად მიუღებელი უნდა იყოს საბჭოთა არმიაში სამსახური, იმ არმიაში, რომელმაც არაერთი ბოროტმოქმედება ჩაიდინა საქართველოს მიმართ, რომელმაც 1921 წელს სისხლში ჩაახშო ჩვენი ერის თავისუფლება, რომელმაც განახორციელა ცხრა აპრილის გენოციდი და რომლის ძალითაც და მუქარითაც საქართველო სამოცდაცხრა წლის განმავლობაში იმყოფება რუსეთის კომუნისტურიიმპერიის მორჩილებაში. მოდის პერიოდი ჩვენი ახალგაზრდების მორიგი იძულებითი გაწვევისა ოკუპანტთა ჯარებში და დღეს, როდესაც ერთიანად გამოიღვიძა ჩვენმა ეროვნულმა შეგნებამ, საჭიროა ქართველმა ახალგაზრდამ კარგად შეაფასოს, თუ რას ნიშნავს საბჭოთა სამხედრო ფორმის ჩაცმა და სათანადო გადაწყვეტილებაც მიიღოს. უარისთქმა საბჭოთა არმიაში სამსახურზე, რაც ცხადია, საკმაო რისკთანაადაკავშირებული, ჭეშმარიტად გიგანტური ღვაწლის დადებაა საქართველოს დამოუკიდებლობის საქმეში. ეს ღვაწლი სამუდამოდ ჩაიწერება ჩვენი ერის მეხსიერებაში, რამეთუ მის გარეშე არ აღსრულდება საქართველოს თავისუფლებაც. ამიტომ ჩვენ ვალდებულნი ვართ განვაცხადოთ: უნდა შეწყდეს ქართველი ახალგაზრდების გაწვევა ოკუპანტთა ჯარებში! ქართველმა კაცმა უნდა თქვას უარი დამპყრობლის არმიაში სამსახურზე! ამ დიდ წამოწყებაში ჩვენი ორგანიზაციები თავიდან ბოლომდე მხარში ამოუდგებიან ქართველ პატრიოტებს და ყველაფერს იღონებენ მათი წმიდათაწმინდა უფლებების დასაცავად.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი ამ დიდი საქმის აღსრულებაში!

გაუმარჯოს ერთიან, დამოუკიდებელ, ქრისტიანულ საქართველოს!

წმ.ილია მართლის საზოგადოება
საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია

### 1989 წლის II ოქტომბრის სახალხო მანიფესტაციისა და მიტინგის რეზოლუცია

ჩვენ, საქართველოს დედაქალაქ თბილისში 1989 წლის II ოქტომბერს გამართული სახალხო მანიფესტაციისა და მიტინგის მონაწილენი მხარს ვუჭერთ საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიისა და წმინდა ილია მართლის საზოგადოების სამართლიან მოთხოვნებს და მთელი თავისუფალი და დემოკრატიული სამყაროს წინაშე გამოვდივართ შემდეგი სახის ოფიციალური განცხადებით, კონკრეტული უმნიშვნელოვანესი საკითხების დადებითად გადაწყვეტის მიზნით.

I. თავისუფალი და დემოკრატიული სამყაროს წამყვანმა სახელმწიფოებმა აქტიური მორალური და პოლიტიკური მხარდაჭერა აღმოუჩინონ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, რათა ქართველმა ერმა ბრწყინვალე გამარჯვებით დააგვირგვინოს თავისი უკომპრომისო ბრძოლა თავისუფლების მოპოვებისათვის, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის.

2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, ევროპის საბჭომ, ევროპის პარლამენტმა, ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციამ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა და სხვა დემოკრატიულმა სახელმწიფოებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა წარმოადგინონ საქართველოში უახლესი მომავლისათვის სპეციალური მისიები და დელეგაციები ოფიციალურ დონეზე საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის საკითხის განსახილველად.

3. საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიასა და წმინდა ილია მართლის საზოგადოებასთან ერთად მოვუწოდებთ ქართველ ახალგაზრდებს კატეგორიული უარი განაცხადონ რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის საოკუპაციო არმიის რიგებში სამსახურზე.

4. მოვუწოდებთ ქართველ ხალხს აღნიშნულ ორგანიზაციებთან ერთად ბოიკოტი გამოუცხადონ საბჭოთა არჩევნებს და ჩაშალონ იგი.

სახალხო მანიფესტაციაში მონაწილეობას იღებდა 20000-ზე მეტი მონაწილე.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიისა და წმინდა ილია მართლის საზოგადოების გადაწყვეტილებით 1989 წლის II ოქტომბრიდან მოქმედებას იწყებს მთავარი განმკარგულებელი კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით

მერაბ კოსტავა
ირაკლი წერეთელი
ირაკლი ბათიაშვილი
თორნიკე ფიფია
ვას[illegible] ხომერიკი
რობერტ ბირკაია
თემურ სუმბათაშვილი
გურამ გოგბაიძე

მთავარი განმკარგულებელი კომიტეტი იღებს იურიდიულ და ფაქტიურ უფლებამოსილებას თავიდან ბოლომდე უხელმძღვანელოს საქართველოში მიმდინარე მასობრივი პოლიტიკურ აქციებს და ღვთისა და ერის წინაშე კისრულობს პასუხისმგებლობას აღნიშნულ აქციებთან დაკავშირებით.

23 ოქტომბერს ს.ე.დ.პ. მთავარი კომიტეტისა და წმ. ილია მართლის საზოგადოების გამგეობის სხდომამ მთავარ განმკარგულებელ კომიტეტში შეიყვანა

I. გიზო კორძაძე
2. ავთანდილ რცხილაძე

### საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის განცხადება ოლეგ გორშენინის მხარდასაჭერად

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, წარმოადგენს რა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ორგანიზაციას, გამოდის ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ, მხარს უჭერს დემოკრატიას, პიროვნებისა და ერის უფლებების დაცვას, თვლის თავის მოვალეობად გააკეთოს განაცხადი ოლეგ გორშენინის მხარდასაჭერად, ახალგაზრდა ადამიანს ორენბურგიდან, რომელმაც უარი განაცხადა იმსახუროს საბჭოთა არმიაში, გამოდის რა იმ მოსაზრებებიდან, რომ საბჭოთა არმია წარმოადგენს საბჭოთა იმპერიის დასაყრდენს და ეხმარება მას დააკავოს ოკუპირებული ე.წ. საბჭოთა რესპუბლიკები. თავისი მოქმედებისათვის გორშენინი დააპატიმრეს.

ს.ე.დ.პ. გააკეთებს ყველაფერს ოლეგ გორშენინის გასათავისუფლებლად. ოლეგის დას ოლგა პავლეს ასულს გაეწევა მატერიალური დახმარება. საერთაშორისო სამართალდამცველი ორგანიზაციების წინაშე დაისმება საკითხი თანადგომისა ოლეგ გორშენინის დაუყოვნებლივ განთავისუფლებისათვის.

ს.ე.დ.პ. მზად არის მიიღოს ოლეგ გორშენინი საქართველოში, სადაც მიმდინარეობს მტკიცე ბრძოლა ახალგაზრდობისა რათა არ იმსახურონ ოკუპანტთა არმიაში და მისცემს მას თავშესაფარს მისი სსრკ-დან გასვლის მოთხოვნის დაკმაყოფილებამდე.

ს.ე.დ.პ. II ოქტომბერი
1989 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს
ბატონ ხავიერ პერეს დე კუელიარს
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს
ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ბატონ ჯორჯ ბუშს
ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს
დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს პრემიერ მინისტრს
ქალბატონ მარგარეტ ტეტჩერს
დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს პარლამენტს
საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ ფრანსუა მიტერანს
ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციის საბჭოს სესიას
ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციის მონაწილე
ქვეყნების მთავრობებს
ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს
ევროპის საბჭოს საკონსულტაციო ასამბლეას
მსოფლიოს ყველა ქვეყნის სახელმწიფოებსა და მთავრობებს
მსოფლიოს ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას
მსოფლიოს ყველა ერსა და კეთილი ნების ადამიანს

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის, წმინდა ილია მართლის საზოგადოებისა და საქართველოს ჰელსინკის კავშირის

# მიმართვა

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, წმინდა ილია მართლის საზოგადოება და საქართველოს ჰელსინკის კავშირი იმყოფებიან რა ერთ ორგანიზაციულ მთლიანობაში და გაერთიანებულნი არიან საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის ეგიდის ქვეშ, წარმოადგენენ ავანგარდსა და ნამდვილ ბირთვს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისას, გამოხატავენ ქართველი ერის ნებასა და მისწრაფებას და თავს უფლებას აძლევენ მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე გამოაქვეყნონ შემდეგი სახის ოფიციალური განცხადება:

ქართველი ერის თვითმყოფადობა ჩვენს წელთაღრიცხვამდე შორეულ ისტორიულ წარსულში იღებს სათავეს. ჩვენი ხალხის ნაციონალურმა ეთნოსმა თავი წარმოაჩინა ძველი ცივილიზაციების სახით დიაოხისა და კოლხას მძლავრ ტომთა გაერთიანებებში, ხოლო სრულფასოვანი ეროვნული ყოფით ქრისტეშობამდე ოთხასი წლით ადრე სახელმწიფოებრიობაში ჰპოვა თვით დამკვიდრება, როდესაც ფარნავაზ მეფის წინამძღოლობით დაფუძნებულ იქნა ქართლის სამეფო - იბერიული პირველი ქართული სახელმწიფო. მას შემდეგ მთელი ოცდასამი საუკუნის განმავლობაში ქართველი ერი ქმნიდა და ანვითარებდა თავის ტერიტორიაზე მსოფლიოს დიდ ცივილიზაციებთან წილნაყარ კულტურას და შეურიგებელ ბრძოლებს აწარმოებდა სხვადასხვა დროის უძლიერესი დამპყრობლების წინააღმდეგ. მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ქართველი ხალხი არაერთხელ დამდგარა ფიზიკური განადგურების რეალური საშიშროების წინაშე, მაგრამ ყოველ კრიტიკულ სიტუაციის ჟამს ქართველ ერს მოუხერხებია კატასტროფის თავიდან აცილება და ხშირად ისტორიულ სარბიელზე დაწინაურებულა როგორც ძლევამოსილი სახელმწიფო. ამის ნათელი დადასტურებაა საქართველოს ისტორიიდან ფარსმან ქველის /2-ეს/, ვახტანგ გორგასლის /5-ეს/, დავით კურაპალატის /10-ეს/, ბაგრატ III კურაპალატის /XI-ეს/, დავით აღმაშენებლის /12-ეს/, თამარ დედოფლის /12-ეს/, გიორგი ბრწყინვალის ზეობის პერიოდები.

თემურ ლენგის დამანგრეველი შემოსევების შემდგომ /XIV საუკუნის მეორე ნახევარი/ საქართველოში მთელი ხუთი საუკუნის განმავლობაში ვეღარ მოხერხდა ცენტრალიზებული და ძლიერი სახელმწიფოს რესტავრაცია. მრავალრიცხოვანი მტრით გარშემორტყმული ქართველი ხალხი, მაჰმადიანურ გარემოცვაში მარტოდმთენილი ზღვა სისხლს ღვრიდა ეროვნული თავისუფლების, ქრისტიანული სარწმუნოების შენარჩუნებისათვის და მონამეობრივი ცხოვრებით სრული იავარქმნისაგან იხსნა და დღემდე მოიტანა უნიკალური ნაციონალური კულტურა და ყოფიერება. ბოლო საუკუნეებში მტრთაგან შევიწროებული, სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცებული საქართველოს პოლიტიკური მესვეურები, ძლიერ მოკავშირეს ეძებდნენ და ხსნას აღმავლობის გზაზე დამდგარ ერთმორწმუნე რუსეთის მფარველობაში ხედავდნენ.

1783 წელს მეფის რუსეთსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის /აღმოსავლეთ საქართველო/ დაიდო სამოკავშირეო ხელშეკრულება ე.წ. გეორგიევსკის ტრაქტატი, რომლის ძალითაც აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური სუვერენიტეტი ნაწილობრივ იზღუდებოდა, ხოლო მეფის რუსეთი თავის მხრიდან კისრულობდა შეიარაღებული ძალებით უზრუნველეყო მაჰმადიანურ გარემოცვაში მყოფი ქართველი ხალხის ეროვნული უშიშროება. იმჟამინდელი ქართული დიპლომატიისა და პოლიტიკური აზროვნების კრახი გამომჟღავნდა მაშინ, როდესაც მეფის რუსეთმა ჯერ დაარღვია სამოკავშირეო ხელშეკრულების ყველა პირობა და არავითარი დახმარება საქართველოს გარეშე მტერთან ბრძოლაში არც ომარ ხანის /1785 წ./ და არც აღა-მაჰმად ხანის /1795 წ/ შემოსევის დროს არ აღმოუჩინა, ხოლო შემდეგ 1801 წელს აღმოსავლეთ საქართველოს ოკუპაციითა და ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებით დაიწყო ჩვენი ქვეყნის ანექსია, რომელიც დასრულებულ იქნა 1864 წელს, როდესაც გარეშე შეიარაღებული ძალების ჩარევის შედეგად გაუქმდა უკანასკნელი ქართული სახელმწიფო ერთეული აფხაზეთის სამთავრო. ასე მოევლინა რუსეთის იმპერია ქართველ ხალხს უდიდესი დამპყრობლის როლში, რადგან მანამდე ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში არ ყოფილა არცერთი მაგალითი სრულიად საქართველოს დაპყრობისა და ქართული სახელმწიფოებრიობის აბსოლუტური ლიკვიდაციისა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მეფის რუსეთმა თვითნებურად გააუქმა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია და მართლმადიდებელ საქართველოს ეკლესიებში აკრძალა წირვა-ლოცვისა და ღვთისმსახურების ქართულ ენაზე ჩატარება, რაც არ გაუკეთებია საქართველოში არასდროს ქართველი ერისათვის გამორჩეულად საძულველ არცერთ დამპყრობელს.

ქართველი ხალხი არ შერიგებია თავისუფლების, სახელმწიფოებრიობის დაკარგვას და მთელი მე-19 საუკუნის განმავლობაში ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას აწარმოებდა. ეს გამოვლინდა 1804 წლის მთიულეთის, 1810 და 1819 წლის იმერეთის, 1812 წლის კახეთის, 1827 წლის გურიის, 1856 წლის სამეგრელოსა და კიდევ სხვა მრავალ მსხვილსა და წვრილ აჯანყებებში, აგრეთვე 1832 წლის ქართველ თავად-აზნაურთა შეთქმულებასა და სამოციანელთა ნახევარსაუკუნოვან მოღვაწეობაში. მარქსისტული იდეების გავრცელებამ და ილია ჭავჭავაძის მკვლელობამ უდიდესი დარტყმა მიაყენა იმდროინდელ საქართველოში ეროვნული იდეოლოგიის აღმავლობის საქმეს, მაგრამ ამან ბოლომდე მაინც ვერ შეუშალა ქართველ ხალხში ხელი იმ იდეის განვითარებას, რომელიც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას გულისხმობდა.

1918 წლის 26 მაისს თავისუფალი ეროვნული თვითგამორკვევით ქართველმა ერმა აღადგინა მე-19 საუკუნეში რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიის შედეგად დაკარგული სახელმწიფოებრიობა, გამოაცხადა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და თავისუფალი განვითარების გზაზე დაწინაურდა, როგორც სუვერენულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებული სრულფასოვანი ერი. 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის გამოცხადება იყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა საქართველოს ისტორიაში ქართველი ერის ჯერეთ და კეთილი ნების გამომხატველ აქტთა შორის, რითაც დასაბამი მიეცა დემოკრატიულ საწყისებზე დაფუძნებულ პირველ ქართულ რესპუბლიკას. ქართული სახელმწიფოებრიობა სრული პოლიტიკური სუვერენიტეტით აღიარებულ იქნა მსოფლიოს მრავალი სახელმწიფოს მიერ და ბოლოს ერთა ლიგის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დე ფაქტო და დე იურე ცნობა საქართველოს პოლიტიკური სუვერენიტეტის საერთაშორისო აღიარების უნივერსალური ეტაპი იყო.

1921 წლის 16 თებერვალს საბჭოთა რუსეთი ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა საქართველოს, ქვეყანაში ჯარებით შემოიჭრა /მე-9 და მე-11 წითელი არმია/, მოახდინა მისი ოკუპაცია და ანექსია და 1921 წლის 25 თებერვალს წინააღმდეგ ქართველი ერის ნებისა, იარაღის ძალით, საქართველოში დაამყარა საბჭოთა ხელისუფლება. 1921 წლის თებერვალში ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიით და გარეშე სამხედრო ძალებზე დაყრდნობილი გასაბჭოებით მომზადდა რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს განმეორებითი დაპყრობა, რომელიც განხორციელებულ იქნა საქართველოს პოლიტიკური სუვერენიტეტისა და სტატუსის გაუქმებით, შემდეგი თანმიმდევრობით: თავდაპირველად 1922 წლის 12 მარტს საქართველოს გაერთიანებით ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციულ კავშირში, რომელიც 1922 წლის 13 დეკემბერს, ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკად გამოცხადდა, ხოლო საბოლოოდ 1922 წლის 30 დეკემბერს სსრ კავშირის შექმნით და მასში ამიერკავკასიის სსფრ-ის შეყვანით. საქართველოს გასაბჭოება იყო პირდაპირი შედეგი შეიარაღებული აგრესიისა, რომელიც ბოლშევიკურმა რუსეთმა ჩაიდინა აზერბაიჯანისა და სომხეთის მიმართაც. აგრესიისათვის საერთაშორისო პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით საბჭოთა რუსეთმა თავის მიერ დაპყრობილი ქვეყნების ტერიტორიებზე, მარიონეტული ძალების მეშვეობით, შექმნა ე.წ. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები, იურიდიულად ნომინალური, ფაქტიურად არარსებული სუვერენიტეტით, რომლებიც გაერთიანდნენ ერთ სახელმწიფო კავშირში, ერთი ცენტრალური ხელისუფლების აბსოლუტური დაქვემდებარების ქვეშ. ამით საბჭოთა რუსეთმა დაკარგა თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფო სუბიექტი და კონსტიტუციურად სუვერენული საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ეგიდის ქვეშ შენიღბა ახალწარმოშობილი მოდერნიზებული რუსეთის იმპერია, როგორც დაპყრობილი ქვეყნებისა და ხალხების იძულებითი გაერთიანება. ასე გადაიქცა საქართველო სსრ კავშირის სახელწოდების მატარებელი ავტორიტარულ-ტოტალიტარული სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილად, რომლის მმართველმა რეჟიმმა ერთა თვითგამორკვევის უზენაესი უფლება ნომინალურ ცნებად გადააქცია.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე საქართველო თანდათანობით მიუახლოვდა ეროვნული კატასტროფის რეალურ საშიშროებას. ქართველმა ხალხმა დაკარგა თავისუფლება, სახელმწიფოებრიობა. ქვეყანაში დატრიალებულმა წითელმა ტერორმა და მასობრივმა რეპრესიებმა ხარისხობრივი და რაოდენობრივი თვალსაზრისით დიდი დანაკლისი მოუტანა ქართველ ხალხს - სისხლში ჩაახშვეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, ფიზიკურად მოსპეს ქართველი არისტოკრატია, ინტელიგენციის, გლეხობისა და მუშების მაღალკვალიფიციური და აქტიური ნაწილი. ათეულ ათასობით უდანაშაულო ადამიანი დააპატიმრეს და იმპერიის შორეულ მხარეებში გადაასახლეს, საიდანაც დიდი უმრავლესობა სამშობლოში ვეღარ დაბრუნდა. ათეისტური იდეოლოგიის გაბატონებამ და სარწმუნოების დევნა-შევიწროებამ დემოკრატიის იგნორირებამ, ავტორიტარულ-ტოტალიტარული რეჟიმისა და პარტიული დიქტატურის შექმნამ განაპირობა პოლიტიკური მოძრაობისა და აზროვნების პარალიზება. ეროვნულ-მოქალაქეობრივი თვითშეგნების დაქვეითება. ეროვნული ტერიტორიების ერთმესამედზე მეტი იძულებით ჩამოართვეს საქართველოს და გადაეცა მოსაზღვრე ქვეყნებს. ისტორიულად ჩამოყალიბებული ეთნიკურ-ადმინისტრაციული მთლიანობის დარღვევის მიზნით ხელოვნურად შექმნეს საქართველოში ავტონომიური ერთეულები, რასაც არ გააჩნდა არავითარი სამართლებრივი საფუძველი. გაქართველების მიზნით წარმოებულმა დემოგრაფიულმა პოლიტიკამ მკვეთრი დისონანსი შეიტანა ეთნიკურ ბალანსში ქართველი ხალხის რაოდენობრივი მაჩვენებლის საზიანოდ. საქართველოს მიწა-წყლისა და მთელი ბუნებრივი სიმდიდრის საკავშირო სახელმწიფოს საკუთრებად გამოცხადებით იურიდიულად დაკანონდა ნეოკოლონიალიზმის ფარული პოლიტიკა, რამაც ხელი შეუწყო ათწლეულების მანძილზე ეროვნული რესურსების უმოწყალო ძარცვას იმპერიის მიერ. ეკოლოგიურმა ომმა საქართველოს ბუნების წინააღმდეგ გამოცხადებულმა წიაღი შეაზიანა დამანგრეველი სტიქიური კატაკლიზმებისათვის. ერთი სიტყვით საქართველოს გასაბჭოებამ გამოიწვია ის, რომ ქართველი ერის, როგორც სუვერენული ნაციის, სტატუსის ჩამოქვეითება სრულიად მდგომარეობამდე, ქართველი ერი დააყენა განადგურების წინაშე.

ქართველი ხალხი არ შერიგებია თავისუფლების დაკარგვას და შეურიგებლობა დამპყრობლის მიმართ გამოხატა 1922 წლისა და 1924 წლის შეიარაღებული აჯანყებებით, რომლებიც სისხლში იქნა ჩახშობილი. საქართველოს დემოკრატიულ საფუძველზე არჩეულმა კანონიერმა მთავრობამ კაპიტულაციას ხელი არ მოაწერა და ამით გააგრძელა პარლამენტის მიერ მისთვის მინიჭებული მანდატი, როგორც ქართველი ერის ნების ერთადერთმა გამომხატველმა. ოციანი წლების განმათავისუფლებელი მოძრაობის ფიზიკური განადგურების შემდგომ, ბოლშევიკების მმართველობისა და ავტორიტარულ-ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში შეუძლებელი შეიქნა ქართველი ხალხისთვის განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმოება, მაგრამ დამოუკიდებლობის იდეა არ მომკვდარა ჩვენს ერში, რასაც მოწმობს ის ეროვნულ-პოლიტიკური არალეგალური ჯგუფების არსებობა, რომლებიც განადგურებულ იქნა ორმოციანი წლების პირველსა და მეორე ნახევარში. ხანგრძლივი მუხტავა მერაბ კოსტავა ... გიორგი აბდუშელიშვილი, გრიშა კოსტავა და მრავალი სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამოცდაათიან წლებში კვლავ გან[illegible]ა ეროვნული მოძრაობა, როდესაც ზვიად გამსახურდიას ინიციატივით ჩამოყალიბდა საქართველოს ჰელსინკის ჯგუფი, რომლის ერთერთი მთავარი საპროგრამო მუხლი იყო საქართველოს დამოუკიდებლობა. ოთხმოციანი წლების დამდეგს საქართველოში შეიქმნა არაერთი პოლიტიკური ორგანიზაცია, რომლებიც არალეგალურ პირობებში ეწეოდნენ ბრძოლას საქართველოს განთავისუფლებისათვის. მართალია ეროვნულ მოძრაობას ამ პერიოდში მასობრივი, ძლიერი პოლიტიკური ხასიათი არ მიუღია, მაგრამ ზემოთ დასახელებულმა ორგანიზაციებმა დიდი გარდატეხა მოახდინეს ეროვნულ თვითშეგნების განვითარების საქმეში და რაც მთავარია შეძლეს დემონსტრირება ქართველ ხალხში ეროვნულ თავისუფლების იდეის უკვდავებისა.

ოთხმოციანი წლების მეორე ნახევარში, როდესაც განთავისუფლდნენ და სამშობლოში დაბრუნდნენ ქართველი პოლიტპატიმრები, საქართველოში მძლავრად იფეთქა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალმა ტალღამ. შეიქმნა ეროვნულ პოლიტიკური ორგანიზაციები და პარტიები: ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, მეოთხე დასი, საქართველოსეროვნულ-დემოკრატიული პარტია, საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირი, წმინდა ილია მართლის საზოგადოება, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია. ჩატარდა მრავალიმასობრივი პოლიტიკური აქცია საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით. გაერთიანებული ერების ორგანიზაციებსა და სხვა მაღალ სამთავრობო საერთაშორისო ინსტანციებში გაიგზავნა არაერთი მიმართვა საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით. საპროტესტო ხასიათის მიტინგები, მანიფესტაციები, დემონსტრაციები, მასობრივი და ინდივიდუალური შიმშილობები ჩვეულებრივ მოვლენებად იქცა. 1988 წელს ჩატარებულ აქციათა შორის აღსანიშნავია 26 მაისის, 22 სექტემბრის, 8 ოქტომბრის, 12 ნოემბრის მასობრივი გამოსვლები და ნოემბრის მასობრივი შიმშილობის კვირეული.

1989 წლიდან ეროვნულმა მოძრაობამ კიდევ უფრო მძლავრი ხასიათი და მკვეთრად გამოხატული პოლიტიკური მიმართულება მიიღო. 1989 წლის 8 თებერვალს, 25 თებერვალს, 25 მარტსა და 29 მარტს საქართველოს დედაქალაქში საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიისა და წმინდა ილია მართლის საზოგადოების ინიციატივით ჩატარდა მასობრივი პოლიტიკური აქციები საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით. ცენტრალური მოვლენა დღეს მიმდინარე განმათავისუფლებელი მოძრაობისა იყო 4-9 აპრილის საყოველთაო ეროვნული გამოსვლები, რომელიც დაიწყო მასობრივი შიმშილობით საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიისა და წმინდა ილია მართლის საზოგადოების ხელმძღვანელობით. მთელი ქართველი ხალხი გაერთიანდა განმათავისუფლებელი მოძრაობის დროშის ქვეშ და ითხოვდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას. საყოველთაო ეროვნული გამოსვლა საკავშირო ცენტრალური ხელისუფლების უშუალო მითითებით ბარბაროსულად იქნა დარბეული საბჭოთა არმიის განსაკუთრებული დანიშნულების ჯარებისა და სსრ კავშირის შინაგანი ჯარების ნაწილების მიერ, რასაც შედეგად მოჰყვა ათობით უდანაშაულო ადამიანის სიკვდილი, დემონსტრანტების მასობრივი დასახიჩრება და მოწამვლა. მაგრამ სისხლისღვრამ ვერ გასტეხა ქართველი ერის ურყევი ნება თავისუფლების მოპოვებისა და ეროვნული მოძრაობა ფართოდ გაიშალა მთელ საქართველოში. ივნისის თვეში მასობრივ პოლიტიკურ აქციათა მთელი ტალღა მოიქროლა საქართველოს სხვა და სხვა რეგიონში, აღსანიშნავია 10,11, 15 და 25 ივნისის მრავალათასკაციანი მანიფესტაციები, რომლებიც ჩატარდა ზუგდიდში, მარტვილში, სენაკსა და ჯვარში, ქუთაისსა, ოზურგეთში, თბილისსა და სხვა ქალაქებში.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩიხში შეყვანის მიზნით კრემლმა ხელოვნურად შექმნა საქართველოში ეთნოკრიზისი, რათა ქართველი ხალხის უმრავლესობა მოწყვეტილიყო მთავარ და ძირითად საკითხს ეროვნული მოძრაობისას საქართველოს დამოუკიდებლობას და ჩათრეულიყო იგი ერთაშორისი შუღლის მორევში. ქვემო ქართლსა და შემდგომ აფხაზეთში ამა წლის ივლისში იფეთქა აზერბაიჯანელ და აფსუა სეპარატისტთა პროვოკაციულმა, ანტიქართულმა გამოსვლებმა, რასაც მოჰყვა სისხლისღვრელი შეტაკებები. სსრ კავშირის ცენტრალური ხელისუფლება შეშფოთებული ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობით, ცდილობს საქართველოში მცხოვრებ არაქართულ მოსახლეობაში ჰპოვოს დასაყრდენი, აამხედროს ისინი ქართველი ხალხის წინააღმდეგ და ქართველი ერის სამართლიანი პოლიტიკური ბრძოლა თავისუფლებისათვის გადაიყვანოს ეთნიკურ კრიზისში, რათა დასძლიოს თავისი მომწიფებული პოლიტიკური კრიზისი. იმპერიის ბნელი ძალების მიერ კორუმპირებული ეროვნებით არაქართველი პირები ენერგიულად ჩაუდგნენ სათავეში ანტიქართულ სეპარატისტულ მოძრაობას და არაქართული მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი - აფსუები, ბორჩალოელი თათრები და ოსები ქართველი ერის მიმართ მტრულად განაწყვეს. მაგრამ ქართველი ხალხი არ აჰყვა კრემლის ბინძურ პროვოკაციას და სსრ კავშირის უმაღლესი მთავრობის მიერ პროვოცირებულ შუღლს დაუპირისპირა პოლიტიკური ბრძოლა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნით. საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიისა და წმინდა ილია მართლის საზოგადოების ინიციატივით 9-10-11 ივლისს მთელი საქართველოს მასშტაბით მოეწყო საყოველთაო გაფიცვები და გამოსვლები დამოუკიდებლობის მოთხოვნით და შემდგომ, როცა აფხაზეთში ივლისის მეორე ნახევარში იფეთქეს აფსუა სეპარატისტთა ანტიქართულმა გამოსვლებმა ამავე ორგანიზაციების ხელმძღვანელობით საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნით მთელ საქართველოში მიმდინარეობდა თითქმის ორკვირიანი საყოველთაო გამოსვლები და გაფიცვები. ამ პერიოდში მძლავრი მასობრივი გამოსვლები ჩატარდა საქართველოს დედაქალაქში 22,24,25 და 27 ივლისს.

ქართველი ხალხის ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის სამართლიანია და თანამედროვე დემოკრატიული მსოფლიო ვალდებულია აქტიურად დაუჭიროს მხარი მას ამ ბრძოლაში. არავითარი კანონიერი საფუძველი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობას და საქართველოს სსრ კავშირის შემადგენლობაში ყოფნას არ გააჩნია, რადგან იგი უშუალო შედეგია შეიარაღებული აგრესიისა და თავიდან ბოლომდე ემყარება რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის შეიარაღებულ ძალებს. ქართველ ხალხს გასაბჭოებიდან მოყოლებული მთელი 68 წლის მანძილზე არც პლებისციტით და არც საყოველთაო დემოკრატიული არჩევნებით საბჭოთა ხელისუფლება და სახელმწიფო წყობილება არ უცვნია. 1918 წლის 26 მაისს ქართველი ერის მიერ მოხდენილი თავისუფალი თვითგამორკვევა და საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადება დღესაც ძალაში მყოფი, იურიდიული ძალმოსილების მქონე პოლიტიკური აქტია, რომელიც ახალ დადასტურებას არც პლებისციტით და არც რეფერენდუმით აღარ საჭიროებს. ამრიგად, ქართველი ხალხის დღევანდელი ბრძოლა თავისუფლებისათვის ნიშნავს ბრძოლას სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, რაც ითვალისწინებს:

1. საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის ე.წ. სსრ კავშირის საოკუპაციო ჯარების სრული შემადგენლობით გაყვანას.

2. საქართველოს გამოსვლას რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის შემადგენლობიდან იმ ტერიტორიული მთლიანობით, რომელიც მას, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს; საერთაშორისო სამართლის ძალით ჰქონდა დამტკიცებული ერთა ლიგის მიერ გასაბჭოებამდე.

3. საქართველოში საბჭოთა წყობილებისა და ხელისუფლების გაუქმებას და საყოველთაო დემოკრატიული კენჭისყრით ეროვნული მთავრობისა და პარლამენტის არჩევას.

4. დღეს როდესაც ქართველი ხალხი უკომპრომისო ბრძოლას აწარმოებს თავისუფლებისათვის, როდესაც ქართველი ხალხის თავდადებულმა ბრძოლამ ათობით უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, დემოკრატიული სამყარო [illegible] უნდა დარჩეს საქართველოს ხვედრისადმი, რამეთუ კაცობრიობის პროგრესული განვითარება ყოველი ერისა და ადამიანის თავისუფლებას ემყარება. თავისუფალი სამყაროს აქტიური მხარდაჭერის გარეშე ქართველი ერი ვერ შესძლებს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ბიძგანას გამარჯვებამდე, ამიტომ თავისუფალმა სამყარომ, თუ მისთვის ჭეშმარიტად ძვირფასია თანამედროვე კაცობრიობის მიერ აღიარებული ზნეობრივი იდეალები და კანონები, ის სამართლებრივი ნორმები, რომელთა გაწუხრელი დაცვითაც იბრძვის ქართველი ერი თავისუფლებისათვის, დაუყონებლივ უნდა იმოქმედოს, რათა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში აღიძრას საქართველოს საკითხი და ეს საკითხი უმოკლეს ვადაში გადაწყდეს ქართველი ერის, როგორც ისტორიის სუბიექტის სასიცოცხლო ინტერესების შესაბამისად.

ამ მიზნით საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, წმინდა ილია მართლის საზოგადოება და საქართველოს ჰელსინკის ჯგუფი მოგმართავთ თხოვნით, რათა უახლოესი მომავლისათვის საქართველოში ჩამოვიდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, დემოკრატიული ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების სპეციალური მისიები და წარმომადგენლები საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხის განსახილველად.

გამოვთქვამთ იმედს, რომ ქართველი ხალხის ენერგიული მისწრაფება თავისუფლებისათვის სათანადო გამოძახილს ჰპოვებს თავისუფალ სამყაროში, და მსოფლიოს დემოკრატიული ძალების მხარდაჭერა უძლიერესად გამარჯვებას მოაპოვებინებს სამართლიან ბრძოლაში.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია
წმინდა ილია მართლის საზოგადოება
საქართველოს ჰელსინკის კავშირი

# ინფორმაცია

## თბილისის გ.დიმიტროვის სახ.საავიაციო ქარხნის მშრომელთა მიმართვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს მ.ს.გორბაჩოვს

ვინაიდან 1921წლის 16 თებერვალს საბჭოთა რუსეთი თავს დაესხა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას,მოახდინა ქვეყნის ოკუპაცია და ანექსია, 1921 წლის 25 თებერვალს ძალით დაამყარა საბჭოთა წყობილება და წინააღმდეგ ქართველი ერის ნებისა,საქართველო შეყვანილ იქნა რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის,ე.წ.სსრ კავშირის შემადგენლობაში.

ვინაიდან საქართველო დღესაც დაპყრობილ მდგომარეობაშია და მის ტერიტორიაზე განლაგებულია ე.წ.სსრ კავშირის საოკუპაციო ჯარის ნაწილები.

ვინაიდან საბჭოთა ჯარების საშუალებით არა ერთხელ განხორციელდა ქართველი ხალხის გენოციდი/1922 და 1924 წლების აჯანყებების სისხლში ჩახშობა,1956 და 1989 წლების მშვიდობიანი მანიფესტაციების სისხლიანი დარბევა/.

ვინაიდან უამრავი ფაქტები არსებობს ქართველი ჯარისკაცების წამებისა და სიკვდილისა საბჭოთა არმიაში.

ვინაიდან ამორალურად და უსამართლოდ მიგვაჩნია ქართველების სამხედრო სამსახურის გავლა იმ ჯარში,რომლის საშუალებითაც არის საქართველო ოკუპირებული.

ამიტომ თბილისის გ.დიმიტროვის სახ.საავიაციო ქარხნის მშრომელები სრულ სოლიდარობას და მხარდაჭერას უცხადებენ ახალწვეულებს,რომლებიც უარს აცხადებენ საბჭოთა /ოკუპანტთა/ ჯარში სამსახურზე.

მიმართვა მიღებულია თბილისის გ.დიმიტროვის სახ.საავიაციო ქარხნის მშრომელთა მიტინგზე. 1989 წლის 12 ოქტომბერი.

რიგა -
წვევამდელთა საპროტესტო აქციები მიმდინარეობს ბალტიისპირეთის ქვეყნებშიც.მიღებული ცნობების თანახმად ლიტვაში ათასზე მეტმა წვევამდელმა განაცხადა უარი საოკუპაციო ჯარებში სამსახურზე.

მოსკოვი -
30 ოქტომბერს პარტია დემოკრატიული კავშირის ხელმძღვანელობით პუშკინის მოედანზე ჩატარდა მიტინგი,მოითხოვდნენ პოლიტპატიმრების განთავისუფლებას.ხელისუფლების მიერ მიტინგი დარბეულ იქნა მთელი სისასტიკით.დაპატიმრებული არიან დემოკრატიული კავშირის ლიდერები:ხრამოვი, დებრიანსკაია და სხვები.



23 ოქტომბერს სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში გაიმართა წვევამდელთა აქციის მხარდამჭერი კრება,რომელიც მოაწყო ახალგაზრდა მასწავლებელთა კავშირმა,სიტყვით გამოვიდნენ: გია გოდერძიშვილი (ა.მ.კ.),საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარე ირაკლი წერეთელი,მთავარი კომიტეტის წევრები ირ.ბათიაშვილი,თ.სუმბათაშვილი და სხვები.

კრებამ მიიღო რეზოლუცია,რომელიც ეგზავნება გ.გუმბარიძეს და სსრკ თავდაცვის მინისტრს დ.იაზოვს.

ანალოგიური კრებები ჩატარდა და წვევამდელებს მხარს უჭერენ თბილისის საავიაციო ქარხანა,მაუდ-კამვოლის კომბინატი,სსრკ 50 წლისთავის სახელობის გაერთიანება და მთელი რიგი სხვა წარმოება დაწესებულებები,უმაღლესი და ტექნიკური სასწავლებლები.

მესტია: წმინდა ილია მართლის საზოგადოების და ს.ე.დ.პ.ს წევრები იყვნენ ხუდონ-ჰესის მშენებლობაზე და დაადგინეს, რომ მშენებლობა გრძელდება.

ინფორმაციები მოამზადეს გია ფოფხაძემ და ლევან ნიკოლაშვილმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საოკუპაციო არმიის ბოიკოტი

1989 წლის II ოქტომბერს თბილისში, რუსთაველის ძეგლთან გაიმართა მრავალათასიანი მიტინგი, რომელიც მიძღვნილი იყო ქართველი ახალგაზრდების საოკუპაციო ჯარებში-ე.წ. საბჭოთა არმიაში სამსახურის პრობლემებისადმი. მიტინგის შემდეგ გაიმართა მსვლელობა სპორტის სასახლის მიმართულებით. გზად, „საქტელერადიოს" შენობასთან გაიმართა სახელდახელო მიტინგი, რომელზე გამოსულმა ორატორებმაც მოითხოვეს, რომ საქართველოს რადიოსა და ტელეხედვას ყოველგვარი დამახინჯებების გარეშე ოპერატიულად გადაეცა საინფორმაციო მასალები და მოემზადებინა გადაცემები საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე. შემდეგ მსვლელობა გაგრძელდა და სპორტის სასახლესთან ქართველ წვევამდელთა 40 კაციანმა ჯგუფმა დაიწყო მჯდომარე საპროტესტო აქცია საოკუპაციო ჯარების სრული ბოიკოტის მოთხოვნით.

ქართველმა წვევამდელებმა სამარცხვინოდ ჩათვალეს საოკუპაციო ჯარში სამსახური, იმ ჯარში, რომელმაც მრავალი უბედურება დაატეხა თავს საქართველოსა და ქართველ ერს, დავიწყოთ იმით, რომ ე.წ. საბჭოთა არმია არის იმ მე-II და მე-9 წითელი არმიების შთამომავალი, რომლებიც 1921 წლის თებერვალში ომის გამოუცხადებლად, ვერაგულად შემოიჭრნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე, რითაც მუხანათურად დაარღვიეს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება თავდაუსხმელობის შესახებ ბოლშევიკურ რუსეთსა და დამოუკიდებელ საქართველოს შორის, მოახდინეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია და ქართველ ხალხს დააკარგვინეს საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ მოპოვებული დამოუკიდებლობა.

ეს ის არმიაა, რომელმაც სისხლში ჩაახშო 1924 წლის სახალხო აჯანყება საქართველოში.

ეს ის არმიაა, რომელმაც 1956 წლის 9 მარტს თბილისში დახვრიტა მშვიდობიანი დემონსტრანტები.

ეს ის არმიაა, რომელმაც 1989 წლის 9 აპრილს ორპირლესული სასანგრე ნიჩბებითა და ქიმიური იარაღის გამოყენებით განახორციელა გენოციდი ქართველი ერის მიმართ.

ყოველივე ეს კარგად გააცნობიერა ჩვენმა ახალგაზრდობამ ( წვევამდელებმა) და თავისი ნება-სურვილი გამოხატეს მჯდომარე აქციის ფორმით.

ჩვენმა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ-წმ.ილია მართლის საზოგადოებამ და საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიამ თავს იდვეს დაწყებული აქციის გაძღოლა და გვერდში ამოუდგნენ ქართველ ახალგაზრდებს. ხსენებული პოლიტიკური ორგანიზაციების სამხედრო საქმეთა კომისიის ბაზაზე შეიქმნა საორგანიზაციო ჯგუფი, რომელიც ბოლომდე უხელმძღვანელებს ამ აქციას.

არსებობს საერთაშორისო სამართლებრივი ხელშეკრულებები, რომელთა მიხედვითაც, ქართველ ახალგაზრდებს, როგორც ოკუპირებული ქვეყნის მოსახლეებს, ენიჭებათ უფლება არ იმსახურონ მაოკუპირებელი ქვეყნის ჯარებში. ერთ-ერთი ასეთი დოკუმენტია 1949 წლის ჟენევის კონვენცია, მიღებული ოკუპირებული ქვეყნების მიმართ, რომელშიც აღნიშნულია, რომ მაოკუპირებელ ქვეყანას არ აქვს უფლება ოკუპირებული ქვეყნის მოსახლეობას აიძულოს საოკუპაციო ჯარში სამსახური. ასევე მისი მხრიდან დაუშვებელია წვევამდელთა ყოველგვარი აგიტაცია და პროპაგანდა ამ საკითხთან დაკავშირებით. ამ დოკუმენტზე ხელი მოწერილი აქვს საბჭოთა მთავრობას და მან კეთილი უნდა ინებოს და შეასრულოს ყველა ის ვალდებულება, რომელიც მას ნაკისრი აქვს საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებზე ხელმოწერით.

ყოველივე ამასთან ერთად მეტად აღმაშფოთებელ მდგომარეობაში მიყოფებიან ის ქართველი ახალგაზრდები, რომლებიც დღეისათვის იმყოფებიან საოკუპაციო ჯარებში. დაძაბული ვითარებაა შექმნილი ქართველ და არაქართველ სამხედრო მომსახურეებსა და ოფიცრებს შორის. ხშირია ქართველი ახალგაზრდების ფიზიკური და მორალური შეურაცხოფის, ჰაუპტვახტებში წამების ფაქტები. მარტო 9 აპრილის შემდეგ საქართველოში ჩამოსვენებულია 53 თუთიის კუბო (იხ. წმ. ილია მართლის სამხ. საქმეთა კომისიის საინფორმაციო ბიულეტენი № 2 ) ჩამოსვენებულთა რიცხვი დღითი დღე მატულობს.

იდენტური აქციები თბილისის გარდა მიმდინარეობს საქართველოს ბევრ ქალაქებსა და რაიონში. მარტო თბილისში აქციის მონაწილეთა რიცხვმა I50-ს გადააჭარბა (25 ოქტომბრისათვის). ამ აქციის პარალელურად მიმდინარეობს სამხედრო ბილეთების ჩაბარების აქცია. ნებისმიერი ჯანმრთელი „ საბჭოთა " მოქალაქე სამხედროვალდებულია და იგი სამხედრო ბილეთის ჩაბარებით თავიდან იხსნის ოკუპანტის მიმართ სამხედრო ვალდებულებას. ნებისმიერი სინდისიერი ქართველის ვალია ჩააბაროს სამხედრო ბილეთი და უარი თქვას სამხედრო ვალდებულობაზე,, რითაც იგი გამოხატავს თავის დამოკიდებულებას მაოკუპირებელი ქვეყნის მიმართ, სოლიდარობას გამოუცხადებს მჯდომარე აქციის მონაწილეებს და თავის წვლილს შეიტანს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში. დღეისათვის (23.10.89) ჩაბარებულია 98 სამხედრო ბილეთი. საქართველოს ისტორიაში პირველად, სამხედროვალდებულმა ქალმა ჩააბარა სამხედრო ბილეთი. როგორც მოგეხსენებათ ე.წ. საბჭოთა კავშირი მილიტარისტული სახელმწიფოა და საბჭოური იმპერიის ძირითად დასაყრდენს კბილებამდე შეიარაღებული არმია წარმოადგენს. ჩვენი აქციით ძლიერ დარტყმას ვაყენებთ იმპერიას და მისგან მოსალოდნელია, რომ ის შეეცდება რეპრესიების ნაცად ხერხს მიმართოს. ამიტომ მიმდინარე აქციის წარმატებით დაგვირგვინებისათვის საჭიროა ფართო საზოგადოების აქტიური მხარდაჭერა. რამდენიმე საწარმომ და უმაღლესმა სასწავლებელმა უკვე მიიღო აქციის მხარდამჭერი რეზოლუცია და მთავრობას მოსთხოვა აქციის მონაწილეთა ხელშეუხებლობის წერილობითი გარანტია.

საოკუპაციო ჯარებში სამსახურზე უარის თქმასა და ე.წ. საბჭოთა არმიისადმი სრულ ბოიკოტთან დაკავშირებული ანალოგიური პროცესები უკვე დაწყებულია ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში, რაც ეროვნული თვითშეგნების მაღალ დონისა და დამპყრობილი სამშობლოსადმი პასუხისმგებლობის დასტურია. უეჭველია, რომ დამპყრობლის ჯარის ბოიკოტი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებათაგანია სამართლებრივ-პოლიტიკურ ბრძოლაში, რომელიც სერიოზულად არყევს „ბოროტების იმპერიის" სიმტკიცის საფუძვლებს. არც ისე შორსაა ის დრო, როდესაც მსგავსი აქციები დაიწყება სხვა რესპუბლიკებშიც. ბუნებრივია, ავანგარდულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა მაგალითს სხვანიც მიბაძავენ. ცხადია, ეს უნდა იყოს სიმტკიცისა და თავდადების ღირსეული მაგალითი. ე.წ. საბჭოთა არმიისადმი ბოიკოტის მასშტაბების გაფართოება (როგორც რიცხობრივი, ისე გეოგრაფიული) უდიდეს დარტყმას მიაყენებს იმპერიას და მისი აგონიის ერთ-ერთი მძლავრი წინაპირობა გახდება.

ლადო გოგიაშვილი
სამხედრო საქმეთა კომისიის წევრი

---

ა.წ. 7-8 ოქტომბერს ყირიმში გაიმართა დამოუკიდებელი ნაციონალურ-პატრიოტული, დემოკრატიული ორგანიზაციების საკორდინაციო საბჭოს სხდომა.

სხდომაში მონაწილეობდნენ საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის, ესტონეთის ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის, უკრაინის ჰელსინკის სპილკის, აზერბაიჯანის სახალხო ფრონტის, ყირიმელ თათართა ნაციონალური მოძრაობის ორგანიზაციის, „ თურქ-მესხთა" დროებითი საორგანიზაციო კომიტეტი „ ვატანი"-ს წარმომადგენლები.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიიდან სხდომას ესწრებოდნენ ერთაშორის ურთიერთობის კოორდინაციის კომიტეტის წევრები გიორგი ჯინჭარაძე და კოტე ბაბუნაშვილი.

სხდომის დაწყებას წინ უძღვოდა ყირიმელ თათართა ეროვნული დროშის აღმართვის ცერემონია.

სხდომაზე განიხილეს ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობების მოქმედებათა კოორდინაციის საკითხები. სხდომაზე არ ჩამოვიდნენ ლატვიის, ლიტვის, უკრაინის ზოგიერთი, მოლდავეთის, ბელორუსიის, სომხეთის წარმომადგენლები. ამან ხელი შეუშალა სხდომის ჩატარების ეფექტურობას. ამას გარდა სხდომაზე მოწვეული აზერბაიჯანის სახალხო ფრონტის წარმომადგენლები, წარმოადგენდნენ რა ლიბერალურ პოზიციებზე მდგომ ძალებს აშკარად არ შეესაბამებოდნენ სხდომაზე მოსაწვევ ორგანიზაციათა მსოფლმხედველობრივ საფუძვლებს. სხდომის მადესტაბილიზებელი იყო თურქ-მესხთა გამოსვლებიც, რომლებიც ეხებოდნენ აღნიშნული ხალხის პირად მიზნებს და შორს იყვნენ იმპერიის დანგრევის ხელშემწყობი ღონისძიებებისაგან.

სხდომის მონაწილეები გაეცვნენ ინფორმაციას საქართველოში პოლიტიკური სიტუაციის გარშემო.

სხდომამ მიიღო რეზოლუცია. ესტონეთისა და უკრაინის წარმომადგენლებს გადაეცათ სედპ-ის I კონგრესის რეზოლუცია დეკოლონიზაციის საერთაშორისო კომიტეტის შექმნის შესახებ.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის
ერთაშორის ურთიერთობის კოორდინაციის კომიტეტი.

# ინფორმაცია

1989 წლის 29 ოქტომბერს დღის ორ საათზე შედგა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის მთავარი კომიტეტის სხდომა. საქართველოში ამჟამად არსებული პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით გადაწყდა დაუყოვნებლივ დაწყებულიყო დაგეგმილი აქცია საერთაშორისო მისიების ჩამოსვლასთან დაკავშირებით, აგრეთვე წვევამდელთა აქციის ქალაქის ცენტრში გადატანა.

ამავე დღეს სახალხო ფრონტი ატარებდა მიტინგს რუსთაველის ძეგლთან. სადაც საღამოს ექვსი საათისათვის საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარემ ირაკლი წერეთელმა იქ დამსწრე საზოგადოებას გააცნო საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის, წმინდა ილია მართლის საზოგადოებისა და საქართველოს ჰელსინკის კავშირის გადაწყვეტილება აქციის დაწყების შესახებ.

დემონსტრანტთა კოლონები დაიძრნენ მსვლელობით რუსთაველის გამზირზე „ მთავრობის " სახლის მიმართულებით, შტურმით იქნა დანგრეული მოედანზე არსებული სამარცხვინო მესერი და დემონსტრანტებმა დაიკავეს პოზიციები „მთავრობის" სახლის კიბეებზე. დაიწყო მჯდომარე საპროტესტო გაფიცვა. იქვე სამხატვრო გალერეის შენობასთან მიმდინარეობდა აფხაზეთში მცხოვრებ ქართველთა საპროტესტო აქცია, რომელსაც მხარს უჭერდნენ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ეროვნული სამართლიანობის პარტია და სხვა ორგანიზაციები. ამ ორი აქციის მსვლელობისას მანამდე დაქსაქსული ეროვნული მოძრაობა კვლავ გაერთიანდა. ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში დაბრუნდნენ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, დემოკრატიული პარტია, ეროვნული სამართლიანობის პარტია, ხოლო მონარქისტული პარტია და ქრისტიან-დემოკრატთა ახალგაზრდული ასოციაცია შემოვიდნენ. ყოველივე ეს „ მთავრობის" სახლის წინ შეკრებილ დემონსტრანტებს ამცნო ბ-მა ზვიად გამსახურდიამ, რომელმაც წაიკითხა საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაციების ერთობლივი კომუნიკე.

მეორე დღეს 30 ოქტომბერს სპორტის სასახლესთან მიმდინარე გაფიცვამ გადმოინაცვლა „ მთავრობის " სასახლესთან, ხოლო საღამოს მათ შეუერთდნენ აფხაზეთის წარმომადგენლები. „მთავრობის " სახლის წინ ერთიანი ძალებით გრძელდება საპროტესტო აქცია რომლის მთავარი მოთხოვნებია.

I. საქართველოში საერთაშორისო მისიების ჩამოსვლა.
( რეფერენდუმის უფლება ამ საკითხზე )
2. ბოიკოტი საოკუპატიო ჯარში სამსახურს
3. ენთოკრიზისული სიტუაციების მოგვარება (აფხაზეთი, სამაჩაბლო)

---

ცნობილია, რომ ტოტალიტარული სახელმწიფო ზღუდავს თავის ქვეშევრდომთა უფლებებს. მათ შორის, იარაღის შენახვისა და ტარების უფლებას. ეს უფლება ერთ-ერთი ფუძემდებლური და უმნიშვნელოვანესია ადამიანის უფლებათა მთელ სისტემაში. თავად ფაქტი ხალხში იარაღის ქონისა, არ არის საერთაშორისო სამართლისათვის მიუღებელი პირიქით, მოსახლეობისათვის იარაღის ჩამორთმევა არასამართლებრივი ქმედებაა, თუ ეს აქცია არ არის გამოწვეული საზოგადოებისათვის უშუალო საფრთხით(მაგალითად: ტერორი, ყაჩაღობა). ყოველი დემოკრატიული ქვეყანა დაუნუხრელად იცავს ადამიანის უფლებას იარაღის შენახვასა და ტარებაზე. ამის თვალსაჩინო მაგალითია აშშ, რომლის კონსტიტუციის კონგრესის მიერ შეტანილ და შტატების საკანონმდებლო კრებების მიერ რატიფიცირებულ პირველი ათი შესწორება-დამატების მეორე მუხლში ვკითხულობთ: "ვინაიდან თავისუფალი სახელმწიფოს უსაფრთხოებისათვის აუცილებელია კარგად ორგანიზებული ლაშქარი, ხალხის უფლება შეინახოს და ატაროს იარაღი არ ექვემდებარება შეზღუდვებს." ამავე დროს, ეს მნიშვნელოვანი გარანტიაა იხსნას ქვეყანა ტირანული გადაგვარებისაგან.

ავტორიტარული რეჟიმის დამყარების ან ახალი ქვეყნის დაპყრობისთანავე მოძალადე კეტავს საზღვრებს, კრძალავს თავისუფალ გადაადგილებას, იარაღსართმევს მოსახლეობას. მიმართავს პიროვნების ღირსების შელახვისა და მისი თავდაცვისუნარიანობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებს. სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი უშიშროების მოტივით დიქტატურა ან საოკუპაციო ხელისუფლება ახორციელებს სამართალსაწინააღმდეგო პრაქტიკას. ცხადია, განიარაღებული და "ადგილზე დაბმული" მოსახლეობის მიმართ უფრო ადვილია რეპრესიების ჩატარება ( სხვათა შორის 30-იანიწლების რეპრესიების წინ თვით კომპარტიის წევრებს ჩამოართვეს იარაღი, რისი ტარების უფლებაც მათ, უპარტიოთგან განსხვავებით, მანამდე ჰქონდათ). უფლებაყრილ საზოგადოებაში აზრთა პლურალიზმი და მით უმეტეს მოქმედების პლურალიზმი ან ეფემერულია, ან სულაც ფიქციაა

უზარმაზარი სამხედრო არსენალის მქონე სახელმწიფოს ეშინია, რომ მის სამოქალაქო მოსახლეობას შენახული აღმოაჩნდეს თუნდაც მარტივი ცეცხლსასროლი იარაღი. რაზე მეტყველებს ეს? ერთი მხრივ, უსამართლო წყობის შიშზე მოქალაქეთა მიმართ, ხოლო მეორე მხრივ, მოსახლეობის უნდობლობაზე ხელისუფლებისადმი. აქ საკუთარი და დაპყრობილიმოსახლეობისადმი უნდობლობის მოტივია მთავარი და არა საზოგადოებრივ უსაფრთხოებაზე ზრუნვა. ტერორისტები და ბანდიტები მუდამ იშოვნიან მათთვის საჭირო იარაღს, რადაც არ უნდა დაუჯდეთ. იმისგან დამოუკიდებლად იქნება, თუ არა იარაღით თავისუფალი ვაჭრობა იარაღი მათი "პროფესიული" საჭიროების საგანია. იარაღის "შავი ბაზარი" მაინც იარსებებს, რადგან იარსებებს მასზე მოთხოვნილება. უბრალო ადამიანისათვის უაღრესად ძნელია "შავ ბაზარზე" ინდივიდუალური თავდაცვისა და ოჯახის უსაფრთხოებისათვის საჭირო იარაღის შოვნა. იარაღით თავისუფალი ვაჭრობის აკრძალვის პირობებში ეს დიდ რისკთან და მნიშვნელოვან თანხებთანაა დაკავშირებული. ყაჩაღისა და ტერორისტისათვის ამგვარი რისკი და თანხები ჩვეულებრივი ამბავია. საბოლოოდ, შეუიარაღებელი და დაუცველი რჩება მხოლოდ მშვიდობიანი მოსახლეობა. აი, სადამდე მივყავართ "საკუთარ ხალხზე" ტოტალიტარული რეჟიმის "ზრუნვას".

მოდერნიზებულ იმპერიაში და საკუთრივ ანექსირებულ საქართველოში შექმნილმა ეთნოკრიზისებმა გამოავლინესაღნიშნულ სფეროში არსებული ვითარების მთელი სიმძიმე. აფხაზეთსა და ქვემო ქართლში პროვოცირებული ეთნოკონფლიქტური სიტუაციების დროს ერთ მხარეს აღმოჩნდნენ კბილებამდე შეიარაღებული პროვოკატორი სეპარატისტები, ხოლო მეორე მხარეს დაუცველი და განიარაღებული მშვიდობიანი ქართული მოსახლეობა. ამდენად, ეთნოკონფლიქტები იარაღით თავისუფალი ვაჭრობის საწინააღმდეგო არგუმენტი როდია, არამედ პირიქით. თანაბარ პირობებში. კი არ იზრდება, მცირდება საერთოდ კონფლიქტზე წასვლის თვით მცდელობაც, რადგან არ რჩება დაუსჯელობის იმედი.


ნომერი მოამზადეს: მერაბ ზარაშენიძემ ირაკლი შელიამ